



დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის
პროექტზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

დასკვნა.....	5
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა.....	7
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი	9
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები	10
3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	12
3.2 არაფინანსური აქტივების კლება.....	16
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები.....	17
5. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	20
6. ასიგნებები	22
7. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი.....	23

დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- 1) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
- 2) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- 3) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- 4) დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალების და ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის

წარდგენაზე საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომელსაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- 1) უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- 2) არის თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- 3) არის თუ არა რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

2020 წელს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის და მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურ პროცესებზე. 2021 წლის მეორე კვარტლიდან შეინიშნება დადებითი ეკონომიკური დინამიკა. პანდემიის განმეორებითი ტალღების პირობებში მნიშვნელოვანია ფისკალური დისციპლინის მდგრადობა და ფისკალური პოლიტიკის პასუხების სწორად განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შემდგომი განხილვის პროცესში, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შემდეგი რეკომენდაციები:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიისა და მისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ეფექტების გამო, ეკონომიკაში არსებული რისკების მატერიალიზაციის ალბათობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების საპროგნოზო მოცულობები შემდგომი წარდგენის პროცესში კიდევ გადაიხედოს.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, განხორციელდეს „სხვა შემოსავლების“ შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების ანალიზი და პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენის შემცირების მოსალოდნელი პროგნოზისა და არსებული საჯარო რესურსების გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, გამოკვლეულ უნდა იქნეს მიზეზები და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს სამოქმედო გეგმა არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის,

არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით და ახალი რესურსების მოძიების გზით. ამასთანავე, ამ პროცესიდან მისაღები შემოსავლების დაგეგმვის დროს მიზანშეწონილია ბოლო წლების გამოცდილების სათანადო ანალიზი და ზეგავლენის შეფასება.

- მნიშვნელოვანია, გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების სრულად და ეფექტიანად ათვისება, რაც არსებითად გაზრდის ახალი პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას.
- მიუხედავად პროგრესისა, პროგრამული ბიუჯეტი ჯერ კიდევ სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესებისთვის განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში წარმოდგენილი შენიშვნებისა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 392,000.0 ათას ლარს, ხოლო გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა – 436,000.0 ათას ლარს. შესაბამისად, კანონპროექტით დაგეგმილია ნაშთის 44,000.0 ათასი ლარით შემცირება. 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2021 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან მიმართებით იცვლება როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების პარამეტრები:



2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, 2021 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან შედარებით, 937.2 ათასი ლარით მცირდება შემოსულობები, ხოლო გადასახდელები იზრდება


21,778.2 ათასი ლარით. შემოსულობების კლება გამოწვეულია „არაფინანსური აქტივების კლების“ (29,500.0 ათასი ლარით, 33.1%-ით) მუხლის გეგმური მაჩვენებლების კლებით. შემოსულობების კლების პირობებში, გადასახდელები იზრდება 21,778.2 ათასი ლარით, რაც განხორციელებულია 2021 წლის ნაშთის ხარჯზე, რომლის გამოყენების გეგმური მაჩვენებელი 2021 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან მიმართებით გაზრდილია 22,715.4 ათასი ლარით.

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, 2021 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან შედარებით, „გადასახდელები“ იზრდება ყველა კომპონენტში: ხარჯები (11,578.5 ათასი ლარი, 4%), არაფინანსური აქტივების ზრდა (9,895.8 ათასი ლარი, 8.4%), ვალდებულებების კლება (303.9 ათასი ლარი, 8%).

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 10 თვის შემოსულობების შესრულება წლიური გეგმის 59.7%-ს შეადგენს. ამასთანავე წინასწარი შეფასებით, 2021 წლის 8 თვის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 12% შეადგინა და ასეთ პირობებში 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი პანდემიამდე პერიოდის მაჩვენებელს 27.3%-ით აღემატება. ოპტიმისტური გათვლების შემთხვევაშიც, ასეთი საპროგნოზო მაჩვენებლები რთულად შესრულებადი იქნება. ამასთანავე, ბოლო წლების ტენდენცია აჩვენებს, რომ შემოსულობების ძირითადი ნაწილის მობილიზება ფისკალური წლის ბოლო თვეებში ხდება.

2021 წლის 10 თვის გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის მხოლოდ 50.9%-ს შეადგენს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნებსა და მოხსენებებში მუდმივად აღინიშნება ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების ათვისების მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით, რაც ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად ხარჯვის რისკებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები მეტ-ნაკლები შემცირების ტენდენციით გამოირჩეოდა, 2020 წლის დეკემბერში გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 210.7% შეადგინა. იგივე ან/და უფრო მეტი მოცულობით ხარჯვაა მოსალოდნელი მიმდინარე წლის ბოლო 2 თვეში. აღნიშნული პრაქტიკა შენარჩუნებულია 2022 წლის ბიუჯეტის პროექტშიც, რაც საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ პროგრამების/ღონისძიებების დაგეგმვასა და მართვაში არსებული ხარვეზების შედეგია და ასიგნებების დროული და თანაბარზომიერი ათვისების პრობლემას იწვევს.

დიაგრამა 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა წლების მიხედვით (მლნ ლარი)



მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლები ნაშთის შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რესპუბლიკური ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტით, 2021 წლის ბოლოს ნაშთი იზრდება 44,000.0 ათას ლარამდე, თუმცა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, ნაშთი გაცილებით მეტი იქნება. ამასთანავე, გადასახდელების არათანაბარზომიერი ათვისების გათვალისწინებით, ნაშთის 2022 წლის ბოლოს სრულად ათვისება მიუღწევადია, რაც საფუძვლიან ანალიზს და დასაბუთებას საჭიროებს. აღნიშნულს ასევე ადასტურებს 2019 და 2020 წლის ფაქტი და 2021 წლის 10 თვის მაჩვენებლები, როდესაც წლის ბოლოს რჩება მოცულობითი ნაშთი და დგება ბიუჯეტში ცვლილების განხორციელების საჭიროება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიისა და მისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ეფექტების გამო, ეკონომიკაში არსებული რისკების მატერიალიზაციის ალბათობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების საპროგნოზო მოცულობები შემდგომი წარდგენის პროცესში კიდევ გადაიხედოს.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისად, 2022 წლის შემოსავლები 332,500.0 ათასი ლარით, ხარჯები 303,613.6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება კი 68,792.0 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 2022 წლისთვის 28,886.4 ათას ლარს, ხოლო მთლიანი სალდო -39,905.6 ათას ლარს შეადგენს.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი (ათასი ლარი)

დასახელება	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	ზრდა/კლება 2021-2022 წწ.	ზრდა/კლება 2021-2022 წწ. (%)
შემოსავლები	303,937.2	332,500.0	28,562.8	9.4%
ხარჯები	292,035.2	303,613.6	11,578.5	4.0%
საოპერაციო სალდო	11,902.0	28,886.4	16,984.3	142.7%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	29,396.2	68,792.0	39,395.8	134.0%
მთლიანი სალდო	-17,494.2	-39,905.6	-22,411.5	128.1%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-21,284.7	-44,000.0	-22,715.4	106.7%
ვალდებულებების ცვლილება	-3,790.5	-4,094.4	-303.9	8.0%
ბალანსი	0	0		
2021 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი				21,671.2
ნაშთი 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით				45,258.5

საყურადღებოა, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტით გადასახდელების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფინანსება იგეგმება 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთიდან (44,000.0 ათასი ლარი). მოპოვებული ინფორმაციით, 2021 წლის შემოსულობების გეგმის შეუსრულებლობა ოპტიმისტური პროგნოზით 63,000.0 ათასი ლარი იქნება, ხოლო გადასახდელების გეგმის - 100,000.0 ათასი ლარი. შესაბამისად, თავისუფალი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი სავარაუდოდ 60,000.0 ათასი ლარის ფარგლებში იქნება, რაც ასევე დასტურდება ბიუჯეტის კანონის პროექტში „პროცენტის“ სახით მისაღები შემოსავლების გეგმური მაჩვენებლის 5,000.0 ათასი ლარით განსაზღვრით, რომელიც 2021 წლის მაჩვენებლს 3,000.0 ათასი ლარით აღემატება. აღნიშნული, ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან გამოყენებაზე მიუთითებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების სრულად და ეფექტიანად ათვისება, რაც არსებითად გაზრდის ახალი პროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 392,000.0 ათას ლარს, რაც 2021 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელზე 0.2%-ით, 937.2 ათასი ლარით ნაკლებია. შემოსულობების სტრუქტურაში

ზრდის ტენდენციით ხასიათდება შემოსავლების კომპონენტი, რომელიც 28,562.8 ათასი ლარით, ანუ 9.4%-ით იზრდება, თუმცა მნიშვნელოვანი კლებით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი, რომელიც 29,500.0 ათასი ლარით, ანუ 33.1%-ით მცირდება. რაც შეეხება ფინანსური აქტივების კლებას (ნაშთის გამოკლებით), შემოსულობების აღნიშნულ კომპონენტში 2022 წელს ისევე, როგორც 2021 წელს, საპროგნოზო მაჩვენებლები განსაზღვრული არ არის.

ცხრილი 2. შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსულობები	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2021 წლის 10 თვე ფაქტი	2021 წლის 10 თვის შესრულება (%)	2022 წლის გეგმა	2021-2022 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები	294,701.5	247,884.2	303,937.2	226,094.9	74.4%	332,500.0	9.4%
არაფინანსური აქტივების კლება	13,129.0	10,049.8	89,000.0	8,453.6	9.5%	59,500.0	-33.1%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	20,722.8	-	-	-	-	-
სულ შემოსულობები:	307,830.5	278,656.8	392,937.2	34,548.5	59.7%	392,000.0	-0.2%

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 2020-2021 წლების შემოსულობებზე. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2021 წლის 8 თვის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 12% შეადგინა, 2021 წლის 10 თვის შემოსულობების შესრულება წლიური გეგმის 59.7%-ს შეადგენს. ამ პირობებში, 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი პანდემიამდე, 2019 წლის ფაქტს 27.3%-ით აღემატება. ოპტიმისტური ეკონომიკური სცენარების რეალიზების შემთხვევაშიც, საპროგნოზო მაჩვენებლების ასეთი მოცულობით განსაზღვრა მეტ დასაბუთებას საჭიროებს, რაც რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი არ არის.

3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით „შემოსავლების“ მუხლის გეგმური მაჩვენებელი 332,500.0 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 28,562.8 ათასი ლარით, ანუ 9.4%-ით აღემატება 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებელს. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა გადასახადების გაზრდილი მაჩვენებლებით არის გამოწვეული.

ცხრილი 3. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსავლები	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2021 წლის 10 თვე ფაქტი	2021 წლის 10 თვის შესრულება (%)	2022 წლის გეგმა	2021-2022 წწ. ზრდა/კლება	2021-2022 წწ. ზრდა/კლება (%)
საშემოსავლო გადასახადი	237,232.7	290,000.0	218,848.3	75.5%	320,000.0	30,000.0	10.3%
სხვა შემოსავლები	10,651.6	13,937.2	7,246.6	52.0%	12,500.0	-1,437.2	-10.3%
სულ შემოსავლები	247,884.2	303,937.2	226,094.9	74.4%	332,500.0	28,562.8	9.4%

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო საშემოსავლო გადასახადია, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი, 2022 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით 320,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 30,000.0 ათასი ლარით, ანუ 10.3%-ით აღემატება 2021 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს. საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის მოცულობითი ზრდა ერთი მხრივ, გამოწვეულია მიმდინარე წელს დაფიქსირებული დადებითი ეკონომიკური ტენდენციებით, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა მომავალი წლის პროგნოზებში, ხოლო მეორე მხრივ, საგადასახადო შემოსავლებზე 2020-2021 წლებში დაწესებული შეღავათების გაუქმებით გამოწვეული ფისკალური ეფექტით.

სხვა შემოსავლები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მოცულობა 12,500.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 1,437.2 ათასი ლარით, ანუ 10.3%-ით ნაკლებია 2021 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელზე.

ცხრილი 4. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2021 წლის 10 თვე ფაქტი	2021 წლის 10 თვის შესრულება (%)	2022 წლის გეგმა	2021-2022 წწ. ზრდა/კლება	2021-2022 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები საკუთრებიდან	7,244.5	10,767.0	5,342.7	49.6%	9,452.0	-1,315.0	-12.2%
პროცენტები	5,367.8	5,000.0	3,067.0	61.3%	7,000.0	2,000.0	40.0%
დივიდენდები	739.9	3,000.0	1,179.8	39.3%	600.0	-2,400.0	-80.0%
რენტა	1,136.7	2,767.0	1,095.9	39.6%	1,852.0	-915.0	-33.1%
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან	315.8	767.0	298.3	38.9%	452.0	-315.0	-41.1%
სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები	820.9	2,000.0	797.5	39.9%	1,400.0	-600.0	-30.0%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	366.5	690.0	474.3	68.7%	448.0	-242.0	-35.1%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	13.3	100.0	3.9	3.9%	100.0	0.0	0.0%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	3,027.3	2,380.2	1,425.6	59.9%	2,500.0	119.8	5.0%
სულ სხვა შემოსავლები:	10,651.5	13,937.2	7,246.6	52.0%	12,500.0	-1,437.2	-10.3%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით „პროცენტების“ გეგმური მაჩვენებელი იზრდება 2,000.0 ათასი ლარით და განსაზღვრულია 5,000.0 ათასი ლარის ნიშნულზე. „პროცენტების“ გეგმური მაჩვენებლის მოსალოდნელი ზრდა გამოწვეულია რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშზე ნაშთის ზრდით, რაც ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზებსა და საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან გამოყენებაზე მიუთითებს.

წარმოდგენილი კანონპროექტით, 1,400.0 ათასი ლარის მოცულობითაა განსაზღვრული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლების“ საპროგნოზო მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის 10 თვის შესრულება 797.5 ათას ლარს შეადგენს, აღნიშნული პროდუქციის მიმართ ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, რესურსების ეფექტიანი გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ამ მიმართულებით შემოსავლების ზრდა. ასევე 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 41.1%-ით შემცირებულია „შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან“. პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენის შემცირების მოსალოდნელი პროგნოზის, 2020-2021 წლებში დაწესებული შეღავათების გაუქმებით გამოწვეული ფისკალური


ეფექტის, ინფლაციისა და არსებული საჯარო რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, შესაძლებელია ამ კომპონენტში შემოსავლების მინიმუმ 2021 წლის საპროგნოზო დონეზე შენარჩუნება, რაც ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, განხორციელდეს „სხვა შემოსავლების“ შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების ანალიზი და პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ზეგავლენის შემცირების მოსალოდნელი პროგნოზისა და არსებული საჯარო რესურსების გათვალისწინებით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.

დივიდენდები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, „დივიდენდების“ გეგმური მაჩვენებელი 600.0 ათასი ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც 2021 წლის გეგმურ მაჩვენებელზე 2,400.0 ათასი ლარით, ანუ 80%-ით ნაკლებია, ხოლო 2021 წლის 10 თვის ფაქტზე 579.9 ათასი ლარით, ანუ 49.1%-ით ნაკლებია.

დიაგრამა 2. 2015-2022 წლების დივიდენდების დინამიკა (ათასი ლარი)



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 31 საწარმოდან, 2021 წლის 10 თვეში დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 3 საწარმოს (შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ - 1,030.7 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ - 121.3 ათასი ლარი, შპს „აჭარის ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრი“ - 27.9 ათასი ლარი). აღნიშნული

საწარმოები, წინა წლებშიც დივიდენდის საბიუჯეტო გეგმის შესრულებაში ძირითად როლს ასრულებდნენ. იმ პირობებში, როდესაც შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ს 2021 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში დივიდენდის სახით გადახდილი აქვს 1,030.7 ათასი ლარი, ხოლო 2017-2020 წლებში - ჯამურად 6,760.5 ათასი ლარი და ამ პერიოდში საწარმოს საქმიანობის სფერო და მოგება-ზარალის დინამიკა არსებითად არ შეცვლილა, „დივიდენდებიდან“ მისაღები სხვა შემოსავლების 600.0 ათასი ლარის ნიშნულზე განსაზღვრა საჭიროებს საფუძვლიან დასაბუთებას და ბიუჯეტის პესიმისტურ დაგეგმვაზე მიუთითებს.

მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ 8 საწარმოში მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება, ხოლო 1 საწარმო ლიკვიდაციის რეჟიმშია. ამასთანავე, მოქმედია 22 საწარმო, რომელთაგან 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილი აქვს 12 საწარმოს. აღნიშნული ანგარიშგებების შესაბამისად, საწარმოთა 2020 წლის შემოსავალი საერთო ჯამში 11,748.3 ათას ლარს შეადგენს, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, დივიდენდი ბიუჯეტში გადახდილი აქვს მხოლოდ სამ საწარმოს. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები ნაწილობრივ იქნა შესრულებული. კერძოდ, მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) ინფორმაციის განახლება. დაიწყო მუშაობა საწარმოების კუთვნილი აქტივების მოძიებისა და აღრიცხვის მიმართულებით, ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები, ასევე დაინერგა გადარიცხვის ორდონიანი ავტორიზაცია, თუმცა კვლავ ვერ მოხერხდა საწარმოთა ბალანსზე რიცხული 29 მლნ ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი აქტივების საკუთრებაში რეგისტრირება და ასევე არ არის უზრუნველყოფილი ძირითადი აქტივების სრული აღრიცხვა და დაცულობა, რაც წარმოშობს მათი შესაძლო უკანონო გასხვისების რისკებს. არ ხდება საწარმოების წლიური ფინანსური ანგარიშგებების საფუძვლიანი განხილვა-შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. ბიზნესგეგმების დამტკიცება და ა.შ., რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საწარმოების არაეფექტიან მენეჯმენტს და შესაბამისად, უარყოფით ფინანსურ შედეგებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, გამოკვლეულ იქნეს მიზეზები და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. მათ შორის, შემოსავლების ახალი

წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს სამოქმედო გეგმა არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

3.2 არაფინანსური აქტივების კლება

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 59,500.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 29,500.0 ათასი ლარით ნაკლებია 2021 წლის გეგმურ მაჩვენებელზე, თუმცა 4.5-ჯერ აღემატება 2019 წლის ფაქტს¹ და 5.9-ჯერ - 2020 წლის ფაქტს.² აღსანიშნავია, რომ საპრივატიზებო აქტივების მოცულობა და ღირებულება ბოლო პერიოდში არსებითად არ შეცვლილა. წინა წლების, მათ შორის პანდემიამდე პერიოდის შესრულების მონაცემების, 2021 წლის 10 თვის ფაქტის (8,453.6 ათასი ლარი) და 2021 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსასვლელი საპრივატიზებო თანხის ოპტიმისტური პროგნოზის (16,089.3 ათასი ლარი)³ გათვალისწინებით, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების ასეთი მოცულობით დაგეგმვა საპროგნოზო მაჩვენებლის დაუსაბუთებლად განსაზღვრაზე მიანიშნებს. აღნიშნული წარმოშობს შემოსულობების გაზრდილი მაჩვენებლებით წარმოჩენის რისკებს, რაც ხორციელდება გადასახდელების გეგმური მაჩვენებლების დაბალანსების მიზნით. ამასთანავე, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტი და თანდართული მასალები არ მოიცავს ინფორმაციას ოპტიმისტური პროგნოზის საფუძვლებზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის, არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით და ახალი რესურსების მოძიების გზით. ამასთანავე, ამ პროცესიდან მისაღები შემოსავლების დაგეგმვის დროს მიზანშეწონილია, ბოლო წლების გამოცდილების სათანადო ანალიზი და ზეგავლენის შეფასება.

¹ 13,129.0 ათასი ლარი.

² 10,049.8 ათასი ლარი.

³ მომზადებულია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, გადასახდელების გეგმა 436,000.0 ათას ლარს შეადგენს და 21,778.2 ათასი ლარით, ანუ 5.3%-ით მეტია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. წარმოდგენილი კანონპროექტით 2021 წლის გეგმასთან მიმართებით „ხარჯები“ მუხლის დაფინანსება იზრდება 4 %-ით (11,578.5 ათასი ლარით), „არაფინანსური აქტივები ზრდის“ მუხლის - 8.4%-ით (9,895.8 ათასი ლარით), ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლის - 8 %-ით (303.9 ათასი ლარი).

ცხრილი 5. გადასახდელები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2021 წლის 10 თვე ფაქტი	2021 წლის 10 თვის შესრულება (%)	2022 წლის გეგმა	2021-2022 წწ. ზრდა/კლება	2021-2022 წწ. ზრდა/კლება (%)
ხარჯები	213,572.3	292,035.2	161,852.7	55.4%	303,613.6	11,578.5	4.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	75,385.5	118,396.2	46,381.6	39.2%	128,292.0	9,895.8	8.4%
ვალდებულებების კლება	2,505.8	3,790.5	2,727.0	71.9%	4,094.4	303.9	8.0%
სულ გადასახდელები	291,463.6	414,221.9	210,961.2	50.9%	436,000.0	21,778.2	5.3%

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გადასახდელების 2021 წლის 10 თვის შესრულების მონაცემებისა და კორონავირუსის (COVID-19) პანდემიისა და მისგან გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური ეფექტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, შემოსულობების „არაფინანსური აქტივების კლების“ კომპონენტი და გადასახდელების საპროგნოზო პარამეტრები ბიუჯეტის შემდგომი წარდგენის პროცესში კიდევ გადაიხედოს.

ხარჯები


კანონპროექტის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2022 წლის ხარჯების გეგმა 303,613.6 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 11,578.5 ათასი ლარით მეტია 2021 წლის გეგმურ მაჩვენებელზე.

ცხრილი 6. ხარჯები ცალკეული კომპონენტის მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2021-2022 წწ. ზრდა/კლება	2021-2022 წწ. ზრდა/კლება (%)
შრომის ანაზღაურება	35,929.5	37,007.5	38,412.3	39,437.5	1,025.2	2.7%
საქონელი და მომსახურება	35,431.1	57,748.1	47,132.0	49,659.5	2,527.5	5.4%
პროცენტი	1,877.8	715.4	752.0	919.8	167.8	22.3%
სუბსიდიები	6,259.3	7,088.9	13,897.1	14,358.6	461.5	3.3%
გრანტები (გაცემული)	75,165.5	55,770.7	134,268.0	140,321.0	6,053.0	4.5%
სოციალური უზრუნველყოფა	16,221.6	17,823.7	17,757.3	20,188.8	2,431.6	13.7%
სხვა ხარჯები	71,385.1	37,418.0	39,816.5	38,728.4	-1,088.1	-2.7%
სულ ხარჯები:	242,270.0	213,572.3	292,035.2	303,613.6	11,578.5	4.0%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2021 წელთან შედარებით დიდი მოცულობით იზრდება „გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯები, ხოლო მცირდება მხოლოდ „სხვა ხარჯების“ მუხლით განსაზღვრული დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტში გათვალისწინებული არ არის „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საბაზო თანამდებობრივი სარგოს ზრდის⁴ გამო, დაფინანსების შესაბამისი ცვლილება.

დიაგრამა 3. ხარჯების მუხლის სტრუქტურა (პროცენტი)



⁴ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2022 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 1,100 ლარის ოდენობით.

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით დაფინანსება ეზრდება ზოგიერთ ისეთ პროგრამას/ქვეპროგრამას, რომელთა შესრულების მაჩვენებელი 2021 წლის 10 თვის მდგომარეობით 30%-ზე დაბალია. მაგალითად, „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამაში (2021 წლის გეგმა - 1,367.2 ლარი, 2020 წლის 10 თვის შესრულება - 13.5%). პროგრამა ითვალისწინებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, მათ შორის, კოოპერატივებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრის განმარტებით, ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი დაკავშირებულია COVID-19 პანდემიასთან, რის გამოც ბენეფიციარებმა დროულად ვერ წარმოადგინეს შეასაბამისი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასებული იქნეს მოსალოდნელი რისკები და გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები მომდევნო საბიუჯეტო წელს ანალოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

ცხრილი 7. პროგრამების შესრულება (ათასი ლარი)

ორგანიზაც. კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის 10 თვის ფაქტი	სხვაობა	შესრულება პერიოდის (%)	2022 წლის გეგმა
04 13 02 02	რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით	633.0	66.8	566.2	10.5%	633.0
04 13 02 03	რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება	182.0	-	182.0	0.0%	182.0
04 13 03 05	ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა	376.0	17.3	358.7	4.6%	376.0
05 08 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	15.0	-	15.0	0.0%	15.0
05 10 02	უმალესი განათლების ხელშეწყობა	180.0	-	180.0	0.0%	620.0
05 14 03	ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა	130.0	33.1	96.9	25.5%	220.0
05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	175.0	23.9	151.1	13.7%	200.0
05 18 03	ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა	189.3	34.6	154.7	18.3%	224.3
05 18 05 01	ინტელექტუალური თამაშები	149.4		149.4	0.0%	149.4
06 10 02	საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა	50.0		50.0	0.0%	50.0
07 14	სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	1,367.2	184.7	1,182.5	13.5%	3,141.4
09 07 04	მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარაში	86.3		86.3	0.0%	172.6

5. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

2021 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროს დაფინანსება შემცირებულია 50%-ით, გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსება - 3.7%-ით, სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება - 1%-ით და ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება - 0.8%-ით, ხოლო იზრდება ეკონომიური საქმიანობის სფეროს დაფინანსება 28.4%-ით, განათლების სფეროს დაფინანსება - 13.1%-ით, დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროების დაფინანსება - 8.2%-ით და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დაფინანსება 1.3%-ით.

ცხრილი 8. ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ათასი ლარი)


კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2021-2022 წწ. ზრდა/კლება	2021-2022 წწ. ზრდა/კლება (%)
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	102,071.3	182,596.7	184,981.6	2,384.9	1.3%
704	ეკონომიური საქმიანობა	69,794.6	93,663.2	120,301.9	26,638.7	28.4%
705	გარემოს დაცვა	1,156.9	1,322.6	1,274.1	-48.5	-3.7%
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	12,859.5	30,000.0	15,000.0	-15,000.0	-50.0%
707	ჯანმრთელობის დაცვა	23,698.7	21,565.4	21,388.8	-176.6	-0.8%
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	21,185.9	32,017.8	34,628.7	2,610.9	8.2%
709	განათლება	24,553.0	39,431.0	44,597.4	5,166.4	13.1%
710	სოციალური დაცვა	33,637.7	9,834.7	9,733.2	-101.5	-1.0%
სულ:		288,957.8	410,431.4	431,905.7	21,474.3	5.2%

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დაფინანსების მნიშვნელოვანი კლება გამოწვეულია „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამის დაფინანსების 50%-იანი შემცირებით. პროგრამის ფარგლებში სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ამ ეტაპზე დასრულებულია მრავალბინიანი

საცხოვრებელი კომპლექსის პირველი ეტაპის მშენებლობა და დაწყებულია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის მეორე ეტაპის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის მომზადება.

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა ძირითადად გამოწვეულია „აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირების“ ქვეპროგრამის დაფინანსების 7,196.4 ათასი ლარით და ტურიზმის სფეროს დაფინანსების 4,828.0 ათასი ლარით ზრდის გამო. „აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირების“ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის მშენებლობა.

დიაგრამა 4. ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (პროცენტი)



ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის სტრუქტურის ანალიზი პრიორიტეტების მიხედვით ცხადყოფს, რომ 2022 წლისთვის შენარჩუნებულია ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად გასაწევი ხარჯების პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, 2022 წლის ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების შესაბამისად, გადასახდელების უდიდესი წილი (89%) 4 ძირითადი პრიორიტეტის დასაფინანსებლად არის მიმართული: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 42.8%, ეკონომიკური საქმიანობა – 27.9%, განათლება – 10.3% და დასვენება, კულტურა და რელიგია – 8%. დანარჩენი 4 პრიორიტეტის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამური ოდენობა დაფინანსების 11.0%-ს შეადგენს და ცალკეული პრიორიტეტისათვის 0.3%-იდან 5.0%-მდე მერყეობს.

6. ასიგნებები

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესაბამისად, 2021 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან მიმართებით, ასიგნებები შედარებით დიდი მოცულობით ეზრდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (10,954.1 ათასი ლარით) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (9,794.3 ათასი ლარით), სხვა მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებები უმნიშვნელოდ იზრდება, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ასიგნება უცვლელი რჩება. იზრდება ასევე საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები 1,823.9 ათასი ლარით.

ცხრილი 9. ასიგნებები (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2021-2022 წწ. ზრდა/კლება	2021-2022 წწ. ზრდა/კლება (%)
101	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	4,699.2	5,216.8	5,216.8	-	-
102	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	2,508.4	701.0	711.8	10.8	1.5%
103	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	2,727.4	3,017.9	3,535.9	518.0	17.2%
104	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	102,391.9	123,831.1	134,785.3	10,954.1	8.8%
105	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	42,374.3	63,901.0	71,000.3	7,099.3	11.1%
106	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	29,912.8	27,200.0	28,121.9	921.9	3.4%
107	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	14,861.2	18,900.9	19,351.1	450.2	2.4%
109	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	91,988.4	171,453.0	173,276.9	1,823.9	1.1%
სულ:		291,463.6	414,221.9	436,000.0	21,778.2	5.3%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსების ზრდა ძირითადად განპირობებულია რიგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსების ზრდით. კერძოდ: „აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარების“ ქვეპროგრამის დაფინანსება გაზრდილია 10,930.5 ათასი ლარით, „აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირების“ ქვეპროგრამის დაფინანსება - 7,196.4 ათასი ლარით, „რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო

ბაზრებზე“ ქვეპროგრამის დაფინანსება - 4,170.0 ათასი ლარით და „გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამის დაფინანსება - 2,925.4 ათასი ლარით. ამასთანავე, „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამის დაფინანსება მცირდება 15,000.0 ათასი ლარით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსების ზრდა ძირითადად განპირობებულია „კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის 1,500.0 ათასი ლარით ზრდით, რომლის ფარგლებში ე.წ. ბათუმის განათლებისა და მეცნიერების ქალაქში იგეგმება სახელოვნებო სკოლის მშენებლობა (2021-2024 წწ). ასევე შედარებით დიდი მოცულობით იზრდება ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის დაფინანსება 1,623.5 ათასი ლარით, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსება 1,493.9 ათასი ლარით და „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის დაფინანსება 1,020.5 ათასი ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება საჯარო სკოლების შენობების მშენებლობა და არსებული შენობების სრული და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები.

7. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022-2025 წლების პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. პროგრამული ბიუჯეტის დანართის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ხარვეზები შეინიშნება საბოლოო და შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავების კუთხით. კერძოდ: პროგრამების/ქვეპროგრამების მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგების ნაწილს არ გააჩნია მიზნობრივი მაჩვენებლები. მიუხედავად იმისა, რომ „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლების მითითება ცალ-ცალკე ხდება, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი

კონკრეტული მიზანი, რაც ანგარიშგების ეტაპზე გაართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას. მაგ. „აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარების“ ქვეპროგრამის 2022 წლის და შუალედური მოსალოდნელი შედეგი იდენტურია, საბოლოო შედეგი კი წარმოდგენილი არ არის.

გარდა ამისა, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ნაწილი საჭიროებს დამატებით ინდიკატორს, რათა სრულყოფილად იქნეს შეფასებული მიღწეული საბოლოო/შუალედური შედეგები. მაგ. „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით, ხოლო შედეგის ინდიკატორია არანაკლებ 270 დაფინანსებული პროექტი. აღნიშნული ინდიკატორი არ იძლევა ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას.

მიუხედავად პროგრესისა, პროგრამული ბიუჯეტი ჯერ კიდევ სისტემური ხარვეზებით ხასიათდება. მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მუშაობა პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებაზე. ასევე, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესებისთვის განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები, შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით.